GVINIA MONASTERY IN THE TERRITORY OF TURKEY, IN HISTORICAL SAMTSKHE
ღვინიას მონასტერი თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ სამცხეში

TEIMURAZ KHUTSISHVILI
Doctor of Mathematical Science, Caucasus UniversityLecturer
Tbilisi, #1, Paata Saakadze Str., 0102 Tbilisi, Georgia
+9955595337262,
research_center@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-6287-3020

NODAR ARONISHIDZE
The George Chubinashvili National Research Centre
for Georgian Art History and Heritage Preservation - science worker,
Tbilisi, Atoneli str.,#9, 0105, Georgia,
+995555901139, nm.aronishidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3706-7925

Abstract. As is known, in modern-day Turkey, the historical Georgian provinces are united under the conditional names of Tao-Klarjeti. These parts are Samtskhe (the upper course of the river Potskhovistskali), Erusheti (only a section), Javakheti (the areas around the Lake Kartsakhi), Artani (the central part and the Posso region), Palakatsio (the areas around the Lake Chrdili), Kola, Machakheli (the upper course of the river Machakhelistskali), Shavsheti, Klarjeti (the central part, the Nigali region, and the eastern part of the Egri region), Amier Tao (the northern part of the Oltisistskali basin and the Parkhali region), Imier Tao (the southern part of the Oltisistskali basin, part of the Chorokhi Valley, the Tortomi region, and the Narimani region), Kvemo Speri.

Since the 16th century, this part of historical southern Georgia (Meskheti) has been part of the Ottoman Empire. Thereafter, the gradual decline of Georgian culture in these territories began, and over time, only a few dozen Georgian-speaking villages, historical toponyms, and artifacts, such as architectural and archaeological monuments, wall paintings, manuscripts, icons, and lapidary inscriptions, have remained.

In the 19th century, following the Russo-Turkish wars, important parts of Meskheti, along with the rest of Georgia, became part of the Russian Empire. Since the 1870s, with the support of the Russian Geographical Society and other organizations, research began on the monuments belonging to the Georgian and Armenian cultures in the annexed territories. Hundreds of architectural monuments from the historical regions of Georgia located on the

territory of Turkey, as well as related manuscripts and artifacts, were studied. Old manuscripts and items related to Meskheti have mostly been preserved in the storages of Georgia's antiquities. However, there are quite a few artifacts of Meskhetian culture in foreign museums.

Despite years of research and exploration of Tao-Klarjeti, some questions need clarification or further study which inevitably requires the active involvement of contemporary Georgian scholars in the humanities. We consider it very important to identify the monastery complexes in the specified area. From this perspective, the present letter proposes a significant scholarly innovation, in which an interdisciplinary methodological approach justifies the identification of the monastery in the historical village of "Ghviniya," which in academic circles, previously was known only as a church.

Keywords: Historical geography; Turkey; historical provinces of Georgia; Meskheti; Tao-Klarjeti, Samtskhe; Potskhovi; Ghviniya; Kvemo Djadjuni; monastery; church; building complex.

თეიმურაზ ხუციშვილი
მათემატიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი
თბილისი, პაატა საკაძის ქ., #1, 0102, საქართველო
+9955595337262,
research_center@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-6287-3020

ნოდარ არონიშიძე
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა
დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, ათონელი ქ., #9, 0105, საქართველო
+995555901139, nm.aronishidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3706-7925

აბსტრაქტი: ცნობილია, რომ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ისტორიული საქართველოს პროვინციები, რომლებსაც პირობითი სახელდებით ტაო-კლარჯეთის სახელწოდებაში აერთიანებენ - ეს მხარეებია: სამცხე (ფოცხოვისწყლის ზემო წელი), ერუშეთი (ნაწილი), ჯავახეთი (კარწახის ტბის მიდამოები), არტანი (ცენტრალური ნაწილი და კუთხე ფოსო), პალაკაციო (ჩრდილის ტბის მიდამოები), კოლა, მაჭახელი (მაჭახელისწყლის ზემო წელი), შავშეთი, კლარჯეთი (ცენტრალური ნაწილი, კუთხე ნიგალი და კუთხე ეგრის აღმოსავლეთი ნაწილი), ამიერ ტაო (ოლთისისწყლის აუზის ჩრდილოეთი ნაწილი და კუთხე პარხალი), იმიერ ტაო (ოლთისისწყლის აუზის სამხრეთი ნაწილი, ჭოროხის ხეობის ნაწილი, კუთხე თორთომი და კუთხე ნარიმანი), ქვემო სპერი.

XVI საუკუნიდან ისტორიული საქართველოს სამხრეთის (მესხეთის) ეს ნაწილი ოსმალური თურქეთის შემადგენლობაში იყო. აქედან მოყოლებული იწყება ამ მხარეებში ქართული კულტურის თანდათან დაკნინება და დროთა განმავლობაში მისგან მხოლოდ რამდენიმე ათეული ქართულენოვანი სოფელი, ისტორიული ტოპონიმი და არტეფაქტიღა რჩება, არქიტექტურის და არქეოლოგიური ძეგლების, მოხატულობის, ხელნაწერების, ხატებისა თუ ლაპიდარული წარწერების სახით.

XIX საუკუნეში, რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად, მესხეთის მხარეების მნიშვნელოვანი ნაწილები, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა თუ სხვა ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყო ქართული და სომხური კულტურის ძეგლების კვლევა შემოერთებულ ტერიტორიებზე. შესწავლილ იქნა თურქეთში მდებარე საქართველოს ისტორიული მხარეების ასეულობით არქიტექტურული ძეგლი და მათთან დაკავშირებული ხელნაწერები თუ არტეფაქტები. მესხეთთან დაკავშირებული ძველი

ხელნაწერები და ნივთები ძირითადად საქართველოს სიძველეთსაცავებშია დაცული, თუმცა ბევრია უცხოეთის მუზეუმებში არსებული მესხური კულტურის არტეფაქტებიც.

ტაო-კლარჯეთის მრავალწლიანი კვლევა-ძიების მიუხედავად, რჩება არაერთი საკითხი, რომელთა დაზუსტება თუ ხელახალი შესწავლა უცილობლად საჭიროებს თანამედროვე ქართველი ჰუმანიტარული მეცნიერების აქტიურ ჩართულობას. სწორედ ასეთი, ვფიქრობთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, საკითხია აღნიშნულ ტერიტორიაზე სამონასტრო კომპლექსების იდენტიფიცირება. სწორედ ამ თვალსაზრისით წინამდებარე წერილი არსებით სამეცნიერო სიახლეს გვთავაზობს, სადაც ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიური მიდგომით დასაბუთებულია ისტორიულ სოფელ „ღვინიაში“ მონასტრის იდენტიფიცირება, რომელიც მანამდე, სამეცნიერო წრეებში ცნობილი იყო, როგორც მხოლოდ ეკლესია.

საძიებო სიტყვები: ისტორიული გეოგრაფია; თურქეთი; ისტორიული საქართველოს კუთხეები; მესხეთი; ტაო-კლარჯეთი; სამცხე; ფოცხოვი; ღვინია; ქვემო ჯაჯუნი; მონასტერი; ეკლესია; ნაგებობათა კომპლექსი.

შესავალი. ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლების კვლევას საუკუნენახევრის ისტორია აქვს და დღემდე ქართველი და უცხოელი მკვლევრების ინტერესების სფეროშია. ამ ძეგლების პირველი კვლევებიდან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დაკავშირებული იყო პრასკოვია უვაროვას [Уварова, П. 1894], ექვთიმე თაყაიშვილის [თაყაიშვილი, ე. 1938], ნიკო მარისა [მარი, ნ. 2012] და სხვათა მოღვაწეობასთან. ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლების კვლევას ასობით პუბლიკაცია მიეძღვნა. მნიშვნელოვანი თეორიული კვლევები მიმდინარეობდა საბჭოთა პერიოდშიც, 1920-1980-იან წლებში, თუმცა ამ დროს ადგილობრივ ექსპედიციებში მონაწილეობის არავითარი საშუალება არ იყო და ანალიზი ემყარებოდა მხოლოდ წერილობით და ისტორიულ წყაროებს.

1990-იანი წლებიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანიდან, საექსპედიციო სამუშაოები ტაო-კლარჯეთში მეტად ინტენსიური გახდა. ამჟამად, ამ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ათასზე მეტი ძეგლი, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ ქრისტიანულ თუ ქრისტიანობამდელ კულტურასთან. გამოვლინდა ბევრი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სიახლე. ამ კვლევებს შორის იყო, 2014-2022 წლებში, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებსაც ახორციელებდა კავკასიის უნივერსიტეტი და საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი. ამ კვლევების შედეგად დაზუსტდა ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების დღევანდელი მდგომარეობა და ფუნქცია, გამოვლინდა რამდენიმე ათეული უცნობი კულტურის ძეგლი.

ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლების კვლევის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებულია ლიტერატურიდან ცნობილი ასობით ეკლესიისა და რამდენიმე ათეული მონასტრის თანამედროვე მდგომარეობა. ბოლო ათწლეულებში ტაო-კლარჯეთში განხორციელებულმა საექსპედიციო სამუშაოებმა გამოავლინა ათობით უცნობი ეკლესია და მონასტერი, რომლების მანამდე არ ფიქსირდებოდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოხდა ლიტერატურიდან ცნობილი ძეგლების ლოკალიზაციისა თუ ფუნქციის დაზუსტება, ან მათი სწორი იდენტიფიკაცია.

ტაო-კლარჯეთის საკვლევ ობიექტებს შორისაა „ღვინიას“, სოფლის ეკლესიად მიჩნეული ნანგრევები, რომელიც ჩვენი ხედვით არა უბრალოდ დამოუკიდებელი სალოცავი, ტაძარი, არამედ მონასტერი უნდა იყოს. 2013 წელს განხორციელებული საკვლევი ექსპედიციის ფარგლებში არდაჰანის (არტანის) პროვინციის პოსოფის (ფოცხოვის) რაიონის სოფელ იოზბაშის (თურქ. Özbaşı, იგივე - ღვინია) მახლობლად მდებარე ღვინიას ეკლესიის სახელით ცნობილი ნანგრევების კომპლექსი დიდი ალბათობით სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა, რომლის შემადგენელი ნაწილების ვრცელი და კომპლექსური ანალიზი ქვემოთ იქნება წარმოდგენილი. ის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სამონასტრო კომპლექსთან და არა უბრალოდ ეკლესიასთან, რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებითა თუ არსებული ფაქტების ერთობლიობით დგინდება:

ა) კომპლექსის განფენილობის მასშტაბი.

ბ) შემორჩენილი ნაგებობების სტრუქტურა.

გ) 1882 წელის ინფორმაცია ნაგებობათა შესახებ.

დ) გეოგრაფიული გარემო და მონაცემები.

ე) სოფელში მიკვლეული წარწერა.

ვ) „ღვინიას“ ციხის არსებობა.

კვლევის მიზანი. თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ტაო-კლარჯეთი XIX საუკუნეში, რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად დანარჩენ საქართველოსთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. დაიწყო ქართული და სომხური კულტურის ძეგლების კვლევა შემოერთებულ ტერიტორიებზე. შესწავლილ იქნა თურქეთში მდებარე საქართველოს ისტორიული მხარეების არქიტექტურული ძეგლები და სხვა არტეფაქტები.

1990-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთში ინტენსიური საკვლევ-საექსპედიციო სამუშაოების შედეგად ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ათასზე მეტი ძეგლი, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან. გამოვლინდა ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე. ამ კვლევებს შორის იყო ჩვენი მონაწილეობით ჩატარებული ექსპედიციებიც, რომელთა შედეგად დაზუსტდა ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების დღევანდელი მდგომარეობა, გამოვლინდა რამდენიმე ათეული უცნობი კულტურის ძეგლი, მოხდა ლიტერატურიდან ცნობილი ძეგლების ლოკალიზაციის ან ფუნქციის დაზუსტება ან სწორი იდენტიფიკაცია.

ტაო-კლარჯეთის საკვლევ ობიექტებს შორისაა ღვინიას სოფლის ეკლესიად მიჩნეული ნანგრევები. კვლევის მიზანია: ნაგებობათა კომპლექსის არქიტექტურული და ლანდშაფტური მონაცემების, აგრეთვე, სოფელ ღვინიასთან არსებული არტეფაქტების გათვალისწინებით სამეცნიერო დამაჯერებლობით წარმოადგინოს, რომ თანამედროვე სოფელ იოზბაშის (ღვინიას) მახლობლად მდებარე ღვინიას ეკლესიის სახელით ცნობილი ნანგრევების კომპლექსი არის არა უბრალოდ ეკლესია, არამედ მონასტერი.

კვლევის მეთოდები. კვლევის მეთოდოლოგია დიდწილად დაფუძნებულია საველე-საექსპედიციო სამუშაოებზე, სადაც წარმოდგენილია მოპოვებული, აღნუსხული მასალების ისტორიული, სახელოვნებათმცოდნეო და პალეოგრაფიული ანალიზი. ანალიზის ფარგლებში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და ტოპონიმიკური კვლევის მეთოდები და ამასთანავე, წარმოდგენილია ლანდშაფტის, გეოგრაფიული გარემოს კვლევა-ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე წერილის კვლევის მეთოდოლოგია ინტერდისციპლინურია და არსებული მასალის გათვალისწინებით, გამოყენებულია შესაბამისი კვლევის მიმართულებები თუ მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. ჩვენ მიერ ხსენებულ, ტაო-კლარჯეთში განხორციელებულ ბოლოდროინდელ კვლევით სიახლეებს შორის უთუოდ გამორჩეული მნიშვნელობისაა ისტორიულ სამცხეში, არდაჰანის (არტანის) პროვინციის პოსოფის (ფოცხოვის) რაიონის სოფელ იოზბაშის (Özbaşı/Posof/Ardahan) მახლობლად მდებარე ნანგრევები, რომლებიც, საველე-საექსპედიციო მასალების შეჯერების საფუძველზე, ჩვენ მიერ, იმთავითვე სამონასტრო კომპლექსად იქნა მიჩნეული. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ვარაუდი დაადასტურა კომპლექსის შემდგომმა კვლევებმაც, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც „ძეგლის“ განფენილობას, გეოგრაფიულ მდებარეობას, უშუალოდ ნაგებობათა მასშტაბსა და რაოდენობას - შესაბამისად კი, მათ ურთიერთმიმართებასა თუ დამოკიდებულებას, ასევე წერილობით წყაროებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ცნობების შეჯერება-ანალიზს. ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თავად ძეგლთა სტრუქტურული რაგვარობა და სახელოვნებათმცოდნეო კვლევის ფარგლებში თავჩენილი მათი ფუნქციური მახასიათებლები. ვიდრე უშუალოდ ძეგლთა დამოუკიდებელ აღწერა-ანალიზს მოვყვებით, ერთგვარი რეტროსპექტულობით უნდა წარმოვადგინოთ ისტორიულ წყაროთა თუ სამეცნიერო ნაშრომთა მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის, პირველ რიგში, ტოპონიმიკის, ხოლო შემდგომ ნაგებობათა საერთო განფენილობისა და მასშტაბის შესახებ.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნის თურქულ წერილობით წყაროში, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში, ტოპონიმი დაფიქსირებულია „ღვინია“-ს სახით. ს. ჯიქია მსჯელობს რა ტოპონიმისა და მისი დამახინჯებული ფორმების შესახებ, აღნიშნავს: „ამრიგად, ჩვენ ახლა უეჭველადაც კი მიგვაჩნია, რომ აქ სოფლის სახელად გვაქვს ღვინია“ და იქვე: „დავთრის“ დროის სოფ. ღვინიაში 16 კომლი მოსახლეა, რომელიც დაბეგრილია 14000 ახჩით. მდებარეობა ამ სოფლისა სავსებით გარკვეულია“ [გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. 1958: 444].

1891 წელს პ. უვაროვას ღვინიას ტერიტორიაზე დაფიქსირებული აქვს ეკლესიის ნანგრევები, რომელთა აღწერისას ის აღნიშნავს: „დიღვირის მიდამოებში ოხთელში, ღვინიაში, ჭაბორიაში, ჯაჯუნში, მარცვალეთში და სეჯაში ეკლესიები ნანგრევების სახითაა შემორჩენილი, თითოეული მათგანი ამ ადგილისთვის დამახასიათებელი ტიპის ეკლესიაა.“ [Уварова, П. 1891:278]. ამრიგად, პ. უვაროვას მიხედვით, როგორც ვხვდებით, ღვინიასთან მდებარე ნანგრევები სოფლის ეკლესიადაა მიჩნეული.

როგორც ჩანს, ნაგებობების ნაწილი XX საუკუნის დასაწყისისთვის ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. კონსტანტინე ოდიშარიას, 1917 წლის საგაზეთო სტატიის, მიხედვით: „აქ (ანუ ღვინიაში, თ. ხუციშვილი, ნ. არონიშიძე) საშუალო ზომის ეკლესია მთელი სდგას. ამბობენ, როცა მიწას ვხნავდით ჭური ამოდიოდაო, ეხლაც ბევრია აქ ჭურები. ...ოდესღაც აქ ბაღი იყო ვენახისაო“ [„კ. მარტვილელი“, ოდიშარია, კონსტანტინე. 1917:4].

როგორც ჩანს, ნაგებობებთან ვენახები იყო გაშენებული. ცხადია, თავისთავად ეს ფაქტი ნაგებობების მონასტრისთვის კუთვნილებას არ ნიშნავს, მაგრამ ქვევრების არსებობა სოფლის ეკლესიასთან ნაკლებად სავარაუდოა და აქ მუდმივადმცხოვრებ საზოგადოებას გულისხმობს.

სოფლის მოხსენიებას ვხვდებით დ. ბაქრაძესთან, თუმცა შეცდომით, „გინია“-ს ფორმით, სადაც ავტორი აღნიშნავს: „ფოცხოვში საკმაოდ ბევრი ეკლესიაა, რომელთა უმრავლესობა დანგრეულია. აი ის ადგილები, სადაც ეკლესიებია: ხეოთი, მერე, ოხთელი... გვინია, პეტობანი...“ [ბაქრაძე, დ. 1987:65]. ასევე, გვხვდება სოფლის მოხსენიება ა. ფრონელთან ნაშრომში „დიდებული მესხეთი“, სადაც ის მხოლოდ ფოცხოვის სოფლებს ჩამთვლის და არასწორად ამბობს, რომ: „სოფელი დიღური, რუსულად დგვირ, ფოცხოვშია, გარშემო სულ ქართული სახელებია სოფლებისა, როგორც მაგალითად: გული, ჭილვანა... გუნია, ჯაბორია, კოდისი...“ [ფრონელი, ა. 1914:48], ხოლო ამავე ნაშრომის ბოლოს ღვიანია უკვე სწორი ფორმითაა მითითებული: „უფრო თვალსაჩინო დაბა-სოფელნი ფოცხოვისა ესენი არიან: დამავლე, აგარა, დიგური, ჯუმათელი... ღვინია, მერე, წინსათიბი და სხვა“ [ფრონელი, ა. 1914:181].

ნაგებობა სოფლის ეკლესიადაა ჩათვლილი თანამედროვე მკვლევრების ნაწილის მიერ. ტაო-კლარჯეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლების კატალოგში ძეგლი წარმოდგენილია, როგორც „სოფლის ეკლესია“ [ტაო-კლარჯეთი: ისტორიისა და კულტურის ძეგლები, კატალოგი, 2017: 23].

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სამცხის კულტურის ძეგლების კვლევაში განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ივანე გვარამაძეს. მას საგულდაგულოდ აქვს დავლილი რეგიონის სოფლები და არაერთი მნიშვნელოვანი მიკვლევის ავტორია. 1882 წელს ი. გვარამაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ღვინიაში მონასტერი შეიძლება ყოფილიყო: „აქ სოფლის მოცილებით გვერდობზედ ეკლესია არის დაქცეული. გვერდზედ მიდგმული განყოფილეები მრთლად იყვნენ; ხუცური ნაწერი არა იყო-რა, მხოლოდ რამდენმე ნახატებზედ ბერძნული ასოები ვნახე თითო-ოროლა. ამ ეკკლესიას გალავნის ბოლოში მონასტერი ჰქონია, თლილის ქვით ნაგები, ორი სართული, კედლები მოქცეულია და შიგ მშვენიერი ცივი წყარო გამოსჩხერს ქვის ღარითა. ეს გვერდი სულ ვენახობა ყოფილა ამ წყაროს წყალობითა, ნაქები ღვინოც სცოდნია და მისთვის ღვინია დაურქმევიათ, ასე გვითხრეს მცხოვრებთ“ [„ვინმე მესხი“, გვარამაძე, ივ. 1882, N169].

ივანე გვარამაძის ცნობით, ნაგებობები მრავლადაა შემორჩენილი, რომელთა კედლებზეც მხატვრობა განირჩევა წარწერების ფრაგმენტებით. ნაგებობათა კომპლექსს გალავანიც ჰქონია ორსართულიანი სადგომებით. ეს საკმაოდ დამაჯერებელი ცნობებია, რომ ღვინიას ნაგებობათა კომპლექსი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მონასტრად ჩავთვალოთ.

2013 წელს მკვლევართა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში ჩვენც ვიყავით, თანამედროვე სოფელ იოზბაშის (Özbaşı) დასავლეთით, 1.5 კმ-ზე, მდინარე სეჯესწყლის მარჯვენა ნაპირზე, ფერდობზე, დააფიქსირა ეკლესიის და სხვა ნაგებობათა ფრაგმენტები (41°29'54.31"N; 42°41'1.62"E). ზ.დ. - 1580 მეტრი (ილ. 1-2).

კომპლექსის ნაგებობათა ნაშთებიდან მეტ-ნაკლებად შემორჩენილი სახით იკითხება დარბაზული ეკლესია, რომლის გაბარიტული ზომები 10X6 მეტრია. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ტაძარი ნაგები უნდა ყოფილიყო რუხი ფერის თლილი კვადრებით, რომლებიც ნაწილობრივაა დარჩენილი. ძირითადად იკითხება დუღაბის მასიური შვერილობები, რომელთა ერთობლიობაც საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის ნაგებობის გეგმარების შესახებ - ეს არის დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთი და, სავარაუდოდ, სამხრეთი მინაშენებით. ძლიერი დაზიანების გამო, რთულია ნაგებობის არქიტექტურული ნაწილის სრული სახით წარმოდგენა - ცენტრალური დარბაზის კამარა თითქმის სრულადაა ჩაქცეული ტაძრის ინტერიერში, რაც კიდევ უფრო ართულებს თავად ცენტრალური დარბაზისა და მისი ჩრდილოეთი მინაშენის ურთიერთმიმართებისა და დაკავშირების საკითხის გამორკვევას. ნაგებობა ფერდობზე ისეა განთავსებული, რომ შენობის ჩრდილოეთი ნაწილი, სავარაუდოდ აღნიშნულ მხარეს არსებული მინაშენი, ნაწილობრივ მიწაში უნდა ყოფილიყო მოქცეული, თუმცა ზუსტი სახით ძეგლის გეოგრაფიულ მორგება-მიმართების საკითხის დადგენაც ძლიერ ჭირს. მკაფიოდ იკითხება დარბაზი, მისი საკურთხეველი, ჩრდილოეთი მინაშენი, მინაშენის ნაწილში არსებული ტიხარი და ამ უკანასკნელის საკურთხევლის აფსიდი. თითქმის დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ნახევარწრიული მოხაზულობის ორივე აფსიდი გეგმის ერთიან სწორკუთხედში იყო მოქცეული. მთავარი ტაძრის საკურთხეველში, მის ჩრდილოეთ ნაწილში, შემორჩენილია ნიში, სადაც განირჩევა მოპირკეთების კვალი (ილ. 3). როგორც უკვე აღინიშნა, პერანგი მთლიანად შემოძარცულია და აღიქმება მხოლოდ დუღაბის ერთიანი მასა, რომელსაც ალაგ-ალაგ ეტყობა ქვის მოპირკეთების კვალი, ერთგვარი ბუდეები. საყურადღებოა, რომ, ამჟამად, ეკლესია ამოვსებულია ნანგრევებით (ილ. 4). მთავარი ტაძრის შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 3.5 მეტრს აღწევს, ხოლო კედლის სისქე დაახლოებით 80-90 სმ-ია.

ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში აშკარად იკითხება მინაშენის ფრაგმენტები, ხოლო სამხრეთიდან მეტ-ნაკლებად განირჩევა მისი არსებობის კვალი. ნაწილობრივ მიწითაა დაფარული მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი მინაშენი, რომლის სიგანე, შიდა მხარეს 3.2 მ-ია და მთელს სიგრძეზე გასდევს კედელს. აღნიშნული სათავსის შუა არეზე მოცემულია ერთგვარი ტიხარი, რომელიც ერთიან სივრცეს ორ ნაწილად ყოფს. მნიშვნელოვანია, რომ განირჩევა ცენტრალურ ტაძართან დამაკავშირებელი კარის კვალი. წინამდებარე სივრცე აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით ბოლოვდება, რომლის ინტერიერის ნაწილსაც მრავლად აქვს შემორჩენილი მოპირკეთების კვადრები (ილ. 5-6). ჩრდილოეთი მინაშენი დასრულებული ყოფილა ცილინდრული კამარით, სადაც უშუალოდ კამარის თაღოვანი ნაწილი კირის ნალესითაა ფორმამიცემული. აღსანიშნავია, რომ მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით 10 მეტრის მოშორებით, შემორჩენილია აფსიდის პერანგის ფრაგმენტი, თუმცა ნაგებობის დანარჩენი ნაწილები მთლიანადაა დაკარგული - როგორც ამას ტაო-კლარჯეთის

ძეგლთა დიდი ნაწილის პრაქტიკა გვიჩვენებს, ეკლესიის ქვები მოგვიანებით სამშენებლო მასალად არის გამოყენებული სახლებში ან კი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებში. დიდი ალბათობით, ღვინიას მონასტრის „მთავარი“ ნაგებობის, ტაძრის ქვებიც სწორედ ამ მიზეზითაა დაკარგული.

ცალკეული ფრაგმენტები და კედელთა სტრუქტურები განირჩევა ტაძრის ირგვლივ, სხვადასხვა მანძილზე - მათ შორის, ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 5 მეტრის მოშორებით, აღიქმება კედლის ნაწილები, რომლებიც რკალისებურად გასდევს რელიეფს, დამრეც ფერდობს. უშუალოდ ტაძრის სიახლოვეს გვხვდება კიდევ ერთი მომრგვალებული კედელი, რომლის სიგრძეც 10 მეტრს აღწევს (ილ. 7). დასახელებული კედლების დაახლოებითი სიმაღლეა 2 მეტრია. მიუხედავად მრავალმხრივი დაკვირვებისა და შესწავლისა, ნაგებობათა ზუსტი ფუნქციის დადგენა და მათი მკაფიო კონფიგურაციის გამოკვეთა ვერ ხერხდება. აღნიშნულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპლექსის არქეოლოგიურ შესწავლას, რომელიც უდავოა, რომ გამოავლენს არა მხოლოდ შენობათა გეგმარებით სტრუქტურასა და არქიტექტურულ მახასიათებლებს, არამედ, უდიდესი ალბათობით, საყოფაცხოვრებო, უტილიტარული დანიშნულების ნივთებსა თუ სხვა არტეფაქტებს, რაც საშუალებას მოგვცემს მეტი სიზუსტითა და დამაჯერებლობით ვიმსჯელოთ ნაგებობათა ამ კომპლექსის დათარიღების საკითხზე - მათ ფუნქციურ რაობა-რაგვარობაზე. ამავე კონტექსტში საყურადღებოა, რომ მთავარი ტაძრის დასავლეთით, 20 მეტრის მოშორებით იკითხება ნაგებობის კვალი, საიდანაც, ადგილობრივთა მითითებით, წყარო გადმოდიოდა (ილ. 8). ხსენებულ ნაგებობასთან დაკავშირებით, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენ მიერ მოხმობილ ამონარიდს ი. გვარამაძის ტექსტიდან, რომელიც სწორედ ამ მონაკვეთში ადასტურებს ნაგებობის არსებობას, სადაც, მისი ცნობითვე, წყარო მოედინებოდა: „...კედლები მოქცეულია და შიგ მშვენიერი ცივი წყარო გამოსჩხერს ქვის ღარითა“ [„ვინმე მესხი“, გვარამაძე, ივ. 1882, N169]. სადღეისოდ წყარო განახლებულია, რომლის ახალი ნაწილი მდებარეობს ძველის მახლობლად, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით (ილ. 9). ახალი წყარო მეტ-ნაკლებად სტანდარტული, მარტივი გადაწყვეტით ხასიათდება, სადაც ვხვდებით ერთ კედელს, რომლის სიღრმეშიც მოედინება წყალი. რაც შეეხება ძველი წყაროს ნაგებობის სადღეისოდ არსებულ მდგომარეობას, ის საკმაოდ მძიმეა - შენობისგან დარჩენილია მხოლოდ ნანგრევები - იკითხება მასიური ნაგლეჯი, თუმცა მხოლოდ დუღაბის ფრაგმენტებით, სადაც არ ჩანს წვის წყობის ელემენტები.

ადგილზე ჩატარებული საექსპედიციო სამუშაოებით დადასტურდა, რომ ნაგებობათა კომპლექსი განფენილი ყოფილა 50 მეტრზე (ილ. 10). ცხადია, მხოლოდ სოფლის ეკლესიისთვის ასეთი მასშტაბის აღმშენებლობა არ გახლავთ ჩვეული. ძეგლთა რაოდენობა და მასშტაბი დამაჯერებელს ხდის ი. გვარამაძის ვარაუდს, რომ აქ მონასტერი მდებარეობდა და არა სოფლის ეკლესია.

ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტებიც, რომ კომპლექსი დაშორებულია სოფლის დასახლებიდან - ის, რომ კომპლექსი რამდენიმე ნაგებობას მოიცავს და ის დასახლებული ტერიტორიიდან რამდენადმე მოშორებულია, ერთობლივად კიდევ უფრო ამყარებს ვარაუდს ნაგებობათა სამონასტრო კომპლექსად წარმოდგენის მიმართულებით.

როგორც წესი, მხოლოდ სოფლის ეკლესიად ჩაფიქრებული სალოცავი სოფლისავე ცენტრში ან მის უშუალო ტერიტორიაზე შენდება, რადგან მისი ფუნქცია სამრევლოა და მოსახლეობა ახლოს უნდა იყოს ეკლესიასთან - იქ აღევლინება ყოველკვირეული წირვა-ლოცვა, წმინდანთა ხსენება, პარაკლისები და ა.შ. ამდენად, სამრევლო ტაძარი, სოფლის ეკლესია ლოგიკურად და პრაგმატულად სოფელშივე შენდებოდა. რაც შეეხება სამონასტრო კერებს, როგორც წესი ისინი მოშორებულია დასახლებულ პუნქტებს - ზოგჯერ მეტად, ან ნაკლებად, თუმცა მაინც სოფლისგან განკერძოებით შენდება. საკითხის განხილვის კონტექსტში საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი - კერძოდ ის, რომ სოფელში დაფიქსირებულია ადგილობრივი მცხოვრების სახლის (№42ა) კედელში ჩატანებულია მართკუთხა, მონაცრისფრო ქვა ასომთავრული წარწერით (41°29'58.72"N; 42°41'27.41"E) (მიახლოებითი ზომები: 0.5×0.5 მ) (ილ. 11-12). სახლი სულ ახალი დროის მშენებლობას წარმოადგენს (აგებული უნდა დაახლოებით 70-80 წლის წინ), ხოლო მის მათავარ ფასადზე, შესასვლელი კიბის გვერდით, მარჯვენა მხარეს, მიწიდან დაახლოებით 0. 5 მეტრის სიმაღლეზე ჩატანებულია ხსენებული წარწერიანი ქვა.

ქვის ნაწილი შებათქაშებულია და შეღებილია ლურჯი საღებავით. სახლის კედელში განირჩევა ნაცრისფერი, თლილი კვადრები. მესაკუთრის თქმით სახლი მისი წინაპრის აშენებულია და არ აქვს ინფორმაცია ქვების თავდაპირველი ადგილის შესახებ. წარწერა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში. წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თემო ჯოჯუას მიერ და ის დათარიღებულია XV-XVI საუკუნეებით.

1. **† ᲩᲛ˜თ**

2. **ა**

„†. Ჩ(ე)მთ/ა“.

ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთის მონასტრების მახლობლად უმრავლეს შემთხვევებში ფიქსირდება ციხეები, სათავდაცვო ნაგებობები [ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები, 2020]. ასეთი შემთხვევები გვხვდება ყველის, ოთხსაყდრის, ხანძთის, ოშკის და ბევრ სხვა მონასტერთან. მასშტაბური სათავდაცვო ნაგებობა შემორჩენილია ღვინიასთანაც. ციხის GPS კოორდინატებია (41°29'51.41"N; 42°41'50.04"E). სიმაღლე ზ.დ. 1512 მეტრი. კ. სადოვსკის 1886 წლის ინფორმაციით ციხე კოშკადაა მოხსენიებული, თუმცა საყურადღებოა, რომ აქვე, ნაგებობებთან აღწერილი აქვს სასაფლაო და ქვაჯვარის ტიპის ძეგლები: „სოფელ ღვინიას კოშკი არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ნაგებობას. ის ჰგავს ჩვეულებრივ ადგილობრივ ნაგებობას, აქ კედლებით შემოსაზღვრულია ორი კოშკი... მაგრამ მის ახლოს არის სასაფლაო, რომლის დასავლეთ მხარეს ფიქსირდება ქვაჯვარის ტიპის ძეგლები“ [Садовский, К. 1886: 12].

2013 წლის მდგომარეობით შესწავლილ იქნა სოფელ ოზბაშთან (Özbaşı), ხეობაში მდებარე მასშტაბური ციხე (41°29'51.41"N; 42°41'50.04"E), რომელიც განთავსებულია ზღვის დონიდან 1512 მეტრზე. ციხე დაახლოებით 1500 კვადრატულ მეტრზეა განფენილი, მიახლოებითი ზომები 29X62 მეტრი. უკეთესადაა შემონახული ციხის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელსაც მოპირკეთების ქვები უმეტესად შერჩენილი აქვს (ილ. 14-15). ამ ნაწილში კარგად განირჩევა სამი გოდოლი - მათი კედლის სიმაღლე 10 დაახლოებით მეტრამდე აღწევს (ილ. 16).

ციხის შიდა პერიმეტრზე დარჩენილია კედლების ნაშთები (ილ. 17). სათავდაცვო ნაგებობის ჩრდილოეთი დაბოლოება წარმოადგენს მართკუთხა ნაგებობას, ხოლო დანარჩენი ნაწილი თითქმის ბოლომდეა დანგრეული. ძეგლის ძირითადი კედლები, მისი მომსაზღვრელი ზღუდეები დიდი და საშუალო ზომის ქვითაა მოპირკეთებული. ნაგებობის კედლები კარგად დამუშავებული, სხვადასხვა ზომის კვადრებითაა ნაგები დუღაბის ბაზაზე. ამჟამად, ძლიერ დაზიანებული ციხის შემორჩენილ კედლებზე განირჩევა, მხატვრული თვალსაზრისით კარგად გააზრებულ-გადაწყვეტილი, წყობის ხასიათი, სადაც გვხვდება დიდი და საშუალო ზომის ქვების მონაცვლეობა და რიგების ჰორიზონტალობის დავის მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთი ნაწილი და ამ მხარეს არსებული კედლები, თავისი სამი გოდოლით, უკეთაა შემორჩენილი, აქაც განირჩევა დაზიაენებული არეები. განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაა ციხის კედლების ქვედა მონაკვეთებზე, სადაც წყობა მორღვეულია, გამორეცხილია და საფასადო ქვა სრულადაა ჩამოცვენილი - კედელთა ზედა არეები შედარებით მაღალი დაცულობით ხასიათდება.

ამრიგად, ისტორიულ სოფელ ღვინიას ტერიტორიაზე, მის გარკვეულ ლოკაციაზე ჩვენ ერთდროულად გვხვდება ციხე-სიმაგრე, ეკლესია, წყარო, ქვაჯვარის ფრაგმენტები და სხვადასხვა ნაგებობათა კედლები, რომელთა ზუსტი იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, ხოლო თავად სოფელში, უთუოდ ეკლესიიდან წაღებული ქვა, რომელზეც ასომთავრული წარწერაა დატანილი. მთლიანობაში კომპლექსი სოფლისგან მოშორებით ფერდობზეა გაშლილი და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, შეიცავს სათავადაცვო სისტემის არსებით ნაწილს - ციხე-სიმაგრეს.

დასკვნა. ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლების კვლევის საუკუნენახევრის პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებული ლიტერატურიდან ცნობილი ასობით ეკლესიისა და რამდენიმე ათეული მონასტრის იდენტიფიკაციისა და ფუნქციის დაზუსტების საკითხი ბოლო ათწლეულებში აქტუალური გახდა.

ტაო-კლარჯეთში განხორციელებულმა საკვლევ-საექსპედიციო სამუშაოებმა გამოავლინა ათობით უცნობი ეკლესია და მონასტერი, რომლების მანამდე არ ფიგურირებდა სამეცნიერო მიმოქცევაში. აქვე აღსანიშნავია, რომ მოხდა ლიტერატურიდან ცნობილი ძეგლების ლოკალიზაციის ან ფუნქციის დაზუსტება ან სწორი იდენტიფიკაცია. მათ შორისაა, თურქეთის არდაჰანის (არტანის) პროვინციის პოსოფის (ფოცხოვის) რაიონის სოფელ იოზბაშის (Özbaşı / Posof / Ardahan) მახლობლად მდებარე ნანგრევები, რომლებიც დღემდე ღვინიას სოფლის ეკლესიად იყო მიჩნეული. ზემოთ წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქ არა უბრალოდ სოფლის ეკლესიასთან, არამედ სამონასტრო კომპლექსთან უნდა გვქონდეს საქმე.

2013 წელს განხორციელებული საკვლევი ექსპედიციისა და შემდგომი კვლევის შედეგად, გაანალიზებულ იქნა რამდენიმე, მნიშვნელოვანი ფაქტორი - მათ შორის:

ა) კომპლექსის განფენილობა, რომელიც საკმაოდ მასშტაბურია და გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ აქ მხოლოდ მცირე სამლოცველო, ან სოფლის ეკლესია არ უნდა ყოფილიყო გაშენებული.

ბ) ტაძრის მიდამოებში შემორჩენილი ნაგებობები, რომელთა ანალიზიც გვიჩვენებს, რომ მათის განლაგების სტრუქტურა, შემორჩენილი ფრაგმენტების მოცულობა და მიმართება ტაძართან სამონასტრო კომპლექსის კონფიგურაციას წარმოქმნის.

გ) 1882 წელს ი. გვარამაძისეული აღწერილობა (სენაკები, ეკლესია, დამხმარე ნაგებობები, ქვევრები) აშკარად ამ კომპლექსში მონასტრის არსებობაზე მიუთითებს.

დ) ნაგებობათა ნაშთები დასახლებიდან მოშორებულია, რაც, თავის მხრივ, ირიბად მიგვანიშნებს სამონასტრო კომპლექსის გეოგრაფიული გარემოს შესახებ.

ამ კომპლექსში მონასტრის არსებობის ასევე არაპირდაპირ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს სოფელ ღვინიაში მიკვლეული წარწერა და ღვინიას ციხის არსებობა. ზემოთ აღნიშნული ფაქტორები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სოფელ ღვინიასთან მდებარეობდა აქამდე უცნობი მონასტერი. ამ მონასტრის შესახებ ამ ეტაპზე სხვა არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

ამრიგად, ქართული საეკლესიო კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენას, ქრისტიანული მონასტრების სიას, კიდევ ერთი, თანამედროვე თურქეთის არდაჰანის (არტანის) პროვინციაში, ისტორიულ სამცხეში მდებარე ღვინიას მონასტერიც შეემატა.

გამოყენებული ლიტერატურა:

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. (1958). წიგნი 3. გამოკვლევა: 1. ხელნაწერის აღწერილობა, 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ), რედ. გ. წერეთელი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და სტამბა.

ვინმე მესხი [გვარამაძე, ივ.]. (1882). *„არხეოლოგიური მოგზაურობა“,* გაზ. დროება, № 168, 13 აგვისტო; № 169, 14 აგვისტო.

თაყაიშვილი, ე. (1938). არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, პარიზი. მეორე გამოცემა: (თაყაიშვილი, 1991).

მარი, ნ. (2012). *შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები,* რუსულიდან თარგმნა რ. დიასამიძემ, რედ. მ. ფაღავა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი.

კ. მარტვილელი [ოდიშარია, კონსტანტინე]. (1917). *„არტაანის მხარეში“,* გაზ. საქართველო, № 210-222. [გაზეთებში 210, 212 და 214 ნომრების ნაცვლად შეცდომითაა მითითებული 230, 232 და 234 ნომრები].

ტაო-კლარჯეთი: ისტორიისა და კულტურის ძეგლები, კატალოგი. (2017). ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები, პერსონალია, პუნქტები, ბიბლიოგრაფია. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რედაქტორი ბ. კუდავა, ავტორ-შემდგენლები: ნ. ბაგაური, ზ. ბატიაშვილი, ი. ბერიძე, ბ. კუდავა,

ნ. ჟღენტი, გ. საითიძე და ნ. ხიზანიშვილი. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრი.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2012-2013 წლების საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. (2019). ანგარიშები მოამზადეს: თ. ხუციშვილმა, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოღუაშვილმა, დ. მაისურაძემ. ლ. წიქარიშვილმა, თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2019 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები. (2021). ექსპედიციის ანგარიშები მოამზადეს: თ. ხუციშვილმა, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოღუაშვილმა, დ. მაისურაძემ და ლ. წიქარიშვილმა. თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Георгий Мерчул. (1911). Житие св. Григория Хандзтийского, грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию, в кн. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, книга VII, СПб. [გიორგი მერჩულე, 1911, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, ქართული ტექსტი ნ. მარის რუსული თარგმანით, გამოკვლევით და მოგზაურობის დღიურით]. (გიორგი მერჩულე. (1911) ივ).

Садовский, К. (1886). „Посховский участок Ардаганского округа, Карсской области", в кн. Сборник Материалов для Описания Местностей и Племен Кавказа, Выпуск V, Тифлис, Издание Управления Кавказского Учебного Округа.

Уварова, П. (1891). Кавказ: Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок, Путевые заметки Графини Уваровой, часть II, Москва.

Уварова, П. (1894). „Посховский участок", в кн. Материалы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества, снаряженными на Высочайше дарованные средства, выпуск IV, под ред. графини Уваровой, Христианские Памятники, Москва.

REFERENCES

gurjist'anis vilaietis didi davtari. (1958). ts'igni 3. gamok'vleva: 1. khelnats'eris aghts'eriloba, 2. shenishvnebi t'ekst'is geograpiisa da t'op'onimik'isatvis (gamok'vleva da k'oment'arebi daurto s. jikiam), red. g. ts'ereteli, tbilisi, sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba da st'amba.

vinme meskhi [gvaramadze, iv.]. (1882). „arkheologiuri mogzauroba", gaz. droeba, № 168, 13 agvist'o; № 169, 14 agvist'o.

taqaishvili, e. (1938). arkeologiuri eksp'editsia k'ola-oltisshi da sopel changlshi 1907 ts'els, p'arizi. meore gamotsema: (taqaishvili, 1991).

mari, n. (2012). shavshetsa da k'larjetshi mogzaurobis dghiurebi, rusulidan targmna r. diasamidzem, red. m. paghava, shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'i, batumi.

k'. mart'vileli [odisharia, k'onst'ant'ine]. (1917). „art'aanis mkhareshi", gaz. sakartvelo, № 210-222. [gazetebshi 210, 212 da 214 nomrebis natsvlad shetsdomitaa mititebuli 230, 232 da 234 nomrebi].

t'ao-k'larjeti: ist'oriisa da k'ult'uris dzeglebi, k'at'alogi. (2017). ist'oriisa da k'ult'uris dzeglebi, khelnats'erebi da ist'oriuli dok'ument'ebi, p'ersonalia, p'unkt'ebi, bibliograpia. p'roekt'is sametsniero khelmdzghvaneli da redakt'ori b. k'udava, avt'or-shemdgenlebi: n. bagauri, z. bat'iashvili, i. beridze, b. k'udava, n. zhghent'i, g. saitidze da n. khizanishvili. tbilisi, k'orneli k'ek'elidzis sakhelobis sakartvelos khelnats'erta erovnuli tsent'ri, samkhret k'avk'asiisa da anat'oliis k'vlevis tsent'ri.

t'ao-k'larjetis dzeglebis 2012-2013 ts'lebis sak'vlevi eksp'editsiebis angarishebi. (2019). angarishebi moamzades: t. khutsishvilma, b. gozalishvilma, a. imedashvilma, sh. k'oghuashvilma, d. maisuradzem. l. ts'ikarishvilma, tbilisi, k'avk'asiis universit'et'is gamomtsemloba.

t'ao-k'larjetis dzeglebis 2019 ts'lis sak'vlevi eksp'editsiebis angarishebi. (2021). eksp'editsiis angarishebi moamzades: t. khutsishvilma, b. gozalishvilma, a. imedashvilma, sh. k'oghuashvilma, d. maisuradzem da l. ts'ikarishvilma. tbilisi, k'avk'asiis universit'et'is gamomtsemloba.

Georgij Merchul. (1911). Zhitie sv. Grigorija Handztijskogo, gruzinskij tekst. Vvedenie, izdanie, perevod N. Marra s dnevnikom poezdki v Shavshiju i Klardzhiju, v kn. Teksty i razyskanija po armjano-gruzinskoj filologii, kniga VII, SPb. [giorgi merchule, 1911, grigol khantstelis tskhovreba, kartuli t'ekst'i n. maris rusuli targmanit, gamok'vlevit da mogzaurobis dghiurit]. (giorgi merchule. (1911) iv).

Sadovskij, K. (1886). „Poshovskij uchastok Ardaganskogo okruga, Karsskoj oblasti", v kn. Sbornik Materialov dlja Opisanija Mestnostej i Plemen Kavkaza, Vypusk V, Tiflis, Izdanie Upravlenija Kavkazskogo Uchebnogo Okruga.

Uvarova, P. (1891). Kavkaz: Abhazija, Adzharija, Shavshetija, Poshovskij uchastok, Putevye zametki Grafini Uvarovoj, chast' II, Moskva.

Uvarova, P. (1894). „Poshovskij uchastok", v kn. Materialy po Arheologii Kavkaza, sobrannye jekspedicijami Imperatorskogo Moskovskogo Arheologicheskogo Obshhestva, snarjazhennymi na Vysochajshe darovannye sredstva, vypusk IV, pod red. grafini Uvarovoj, Hristianskie Pamjatniki, Moskva.

ილუსტრაციები

ილ. 1. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), მთის ფერდზე აგებული ეკლესია საერთო ხედი

ილ. 2. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), მთის ფერდზე აგებული ეკლესია და მისი ნანგრევები

ილ. 3. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), მთავარი ტაძრის საკურთხეველი, ნიში და მისი მოპირკეთების ქვები

ილ. 4. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ჩრდილოეთი მინაშენი და მის სივრცეში არსებული ტიხარი

ილ. 5. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ჩრდილოეთი მნაშენი, კამარა, ტიხარი და ჩამოქცეული ნაწილი

ილ. 6. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ჩრდილოეთი მინაშენი, საკურთხევლის აფსიდი და მისი მოპირკეთების ქვები

ილ. 7. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებული კედლის ფრაგმენტები

ილ. 8. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ძველი წყაროს ნაგებობის ფრაგმენტები ეკლესიის დასავლეთით

ილ. 9. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ახალი წყარო, ძველის ნანგრევების სიახლოვეს



ილ. 10. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ტერიტორიისა და მასზე არსებული ნაგებობების ზოგად-კონტურული გეგმა (ნახ. ლ. წიქარიშვილი)

ილ. 11. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), სოფელში მდებარე სახლი N42ა, კედელში ჩაშენებული წარწერიანი ქვა

ილ. 12. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), სახლის კედელში ჩატანებული ქვა ასომთვარული წარწერით

ილ. 13. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ციხე, აღმოსავლეთი კედელი, გოდოლისა და წყობის ნაწილები

ილ. 14. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ციხის აღმოსავლეთი კედელი, მოპირკეთების ქვები და გოდოლთა შვერილები

ილ. 16. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ციხე, საერთო ხედი, ძეგლის კონტური, გეგმარება და გოდოლთა არეები

ილ. 17. ღვინია, თანამედროვე სოფელი იოზბაშის (Özbaşı), ციხე, ზედხედი, ციხის ცენტრალური კედლები და შიდა გეგმარებითი ელემენტები